## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 494

**ხელშეკრულების დადების საფუძველია საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 22 სექტემბერს " ქ. რუსთავში

დამკვეთი: სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო, სააგენტოს დირექტორის მოადგილის ბესიკ ტეფნაძის სახით.

მისამართი: ქ. რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ.

საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი", კოდი: LBRTGE22, ა/ა №GE65LB0121140604565000, საიდ. კოდი - 205190513.

- შემსრულებელი: შპს „თბს-ტვ" საიდენტიფიკაციო კოდი: 204882724
- მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68, II კორ. ტელ: 240 93 40
- დირექტორი: თინათინ იობიშვილი
- საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თბისი ბანკი" ბ/კ: TBCBGE22 ა/ა: GE88TB0600000002467430

ერთი მხრივ, დამკვეთი და მეორე მხრივ, შემსრულებელი ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად უზრუნველყოს სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ მიწოდებული სარეკლამო-საინფორმაციო მასალის ტელეკომპანია "იმედის", "მაესტრო"-ს, "კავკასიის" და "ობიექტივის" სატელევიზიო ეთერში განთავსება (CPV კოდი 92121000).

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს:

123 647.89 (ასოცდასამიათას ექვსას ორმოცდაშვიდი დოლარი და 89 ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში მომსახურების დასრულების დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. მომსახურების გაწევის წესი



217 100,96

3.1. დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის დროს ჩაატაროს შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება და უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს.

3.2 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით **შემსრულებელი** იღებს ვალდებულებას განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება **2014 წლის 22 სექტემბრიდან 2014 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით.**

3.2. მომსახურების გაწევა დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს **შემსრულებელს** ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება, მომსახურების გაწევის შემდეგ **20** კალენდარული დღის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3. გადახდის ფორმა: უნაღდო

5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1 დამკვეთი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს **შემსრულებელს** ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3 **დამკვეთის მხრიდან** მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში ხდება მომსახურების საფასურის გადაანგარიშება შემსრულებლის მიერ ტელევიზიების მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად. აღნიშნული გადაანგარიშების შედეგად მიღებული საფასურის გადახდა სავალდებულოდ შესასრულებელია დამკვეთისთვის. დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს აღნიშნული ცვლილების შედეგად მიღებული საფასური და მომსახურების მოცულობის არასრულად შესრულებისათვის ტელევიზიის/სელერის მიერ დაკისრებული ჯარიმა ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5.4 დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსრულებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.

5.5 დამკვეთი უფლებამოსილია, შემსრულებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულლებლობის შემთხვევაში, **შემსრულებელს** დააკისროს ჯარიმა შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების **3%** -ის ოდენობით.

6. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

6.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოდგენილი ხელშეკრულების

ღირებულების 2%-იანი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

6.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდალური დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება შემსრულებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია უბრუნდება მიმწოდებელს მოთხოვნისთანავე.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2. ამ მუხლის ფარგლებში "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა და/ან დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. სხვა პირობები

7.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ თავის მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

7.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

7.3. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.4. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან დამკვეთის პირობების გაუარესება გარდა ამ ხელშეკრულების 5.3 პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.6. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

| | |
|---|---|
| დამკვეთის მხრიდან: | შემსრულებლის მხრიდან: |
| სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე | შპს "თბს-ტვ" დირექტორი |
| ბესიკ ტეფნაძე | თინათინ იობიშვილი |

# დანართი #1

| | |
|---|---|
| დამკვეთი | შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| რგოლები | 45", 53", 82" |
| პერიოდი | 22.09.2014-12.10.2014 |

| არხები | გასვლების რაოდ-ობა | ჯამური GRP | ჯამური wGRP | საერთო ღირებ-ება | ფასდაკლება | საბოლოო ღირებ-ება | ბიუჯეტის წილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი | 129 | 293.99 | 1057.09 | $213,669.30 | 72% | $59,827.40 | 48% |
| მაესტრო | 149 | 356.86 | 714.86 | $145,481.67 | 68% | $46,554.13 | 38% |
| კავკასია | 81 | | | $9,948.00 | 32% | $6,764.64 | 5% |
| ობიექტივი | 84 | | | | | $10,501.71 | 8% |
| | *443* | *650.85* | *1771.95* | *$369,098.97* | | *$123,647.89* | 100.00% |

| ჯამური მონაცემები | |
|---|---|
| გასვლები | 443 |
| ჯამური რეიტინგი | 650.85 |
| ჯამური შეწონილი რეიტინგი | 1771.95 |
| საბოლოო ღირებ-ება | $123,647.89 |

*GEORGIA-TC TV-STUDIO LTD* საქართველო. შპს "თბს-ტვ"სტუდია" 204482724